გამწვანების პროექტი

შპს “Green BuilDers”

25.02.2020

ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #16, საკონტაქტო ნომერი: 2-83-86-87 / 568 – 37-84-48; E-mail : GreenBuilDers2019@gmail.com
www.GreenBuilDers.ge

მისამართი : ქ. თბილისი, ვახტანგ ნინუას ქ. #3

საკადასტრო კოდი : 01.12.12.001.196

მესაკუთრე : სს „ბამბის ნართი“

ტერიტორიის მთლიანი ფართობი : 1599 კვ.მ

ფუნქციური ზონა : სამრეწველო ზონა 1

დადგენილი კ3 კოეფიციენტი : (ბრძანება #4772425)

- სამრეწველო ზონა 1 – 0,1

გამწვანების ფართობი : 159,9 კვ.მ

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები : 8 ძირი პირამიდალური კვიპაროსი, 6 ძირი აღმოსავლური ჭადარი

ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავი მწვანე ნარგავების რაოდენობა :

- საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი 5 ძირი კავკასიური ცაცხვი და 6 ძირი ჰიმალაის კედარი

მცენარეთა ექსპლიკაცია

#	მცენარის დასახელება	სიმაღლე	ღეროს დიამეტრი	ასაკი	სასიცოცხ. ფორმა	რაოდ.	შენიშვნა
1	კავკასიური ცაცხვი	3.5 მ.-დან	20 სმ-დან	10 წ.	ფოთოლმცვენი	5	ფოთლოვანი
2	ჰიმალაის კედარი	3.0 მ.-დან	20 სმ-დან	10 წ.	მარადმწვანე	6	წიწვოვანი



კავკასიური ცაცხვი

ცაცხვი ფოთოლმცვენი ხეა ცაცხვისებრთა ოჯახიდან,, იზრდება 35 მეტრამდე სიმაღლის, მთავარი ღერო ნაცრისფერი, მერქანირბილი, ფოთლები მომრგვალო, ყვავილები მოთეთრო-მოყვითალო, ფართოდ დატოტვილი ვარჯითა და გრძივადდაღარული კანით, იყენებენ ბაღ-პარკებისა და ქუჩების გასამწვანებლად.

ჰიმალაის კედარი



50 მეტრი სიმაღლის კენწეროგადახრილი მცენარეა. მის სამშობლოდ ითვლება ჰიმალაის მთები. ხარობს ზღვის დონიდან 1050–3600 მეტრზე. საბჭოთა კავშირში პირველად შემოიტანეს 1942 წელს, ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში. გავრცელებულია ყირიმში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და სხვ. ჰიმალაიური კედარი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ინტენსიური ზრდით ხასიათდება. ასევე აღსანიშნავია, რომ არაიშვიათად გვხვდება ყველგან მისი წვერხმელი ეგზემპლარები. ჰიმალაიური კედარი დეკორატიულია, ძირითადად გამოიყენება ქალაქებისა და დასახლებული სოფლების გასამწვენებლად, პარკებში — სოლიტერად, ჯგუფური ნარგავების მოსაწყობად და ხეივნების გასაშენებლად. იტანს კრეჭას.

#	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვა
1	გასამწვანებელი ტერიტორიის ფართობი	კვ. მეტრი	159,2	
2	გასამწვანები ტერიტორიის გასუფთავება და დამუშავება	კვ. მეტრი	159,2	
3	ადგილების მომზადება მცენარეების დასარგავად	ცალი	11	ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანა
4	მცენარეების დარგვა	ცალი	11	
5	გაზონის მოწყობა (დათესავა, რულონის დაგება)	კვ. მეტრი	-	
6	გაზონის მოვლა	კვ. მეტრი	-	
7	ახალ დარგული მცენარეების მოვლა	ცალი	11	
8	ახალ დარგული მცენარეების მორწყვა	ცალი	11	ძირზე 30-50 ლიტრი წყალი

მწვანე ნარგავების გაშენების აგროტექნიკა

▪ ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას.ლაბორატორიული ანალიზით ნიადაგის მჟავიანობამ pH 7.2-7.8 შეადგინა. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად

▪ ხე - მცენარის დარგვა

- დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით.
- ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორი მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით. ჩვენს შემთხვევაში ხორციელდება კომით.
- დარგვა, როგორც ავღნიშნეთ, ხორციელდება სტანდარტული სარგავი მასალით, რომელთა გადარჩევაც ხდება სანერგეში. ნერგები უნდა პასუხობდნენ სტანდარტულ მოთხოვნებს: უნდა იყონ ჯანსაღი, კარგად განვითარებული ვარჯითა და ფესვთა სისტემით, მექნაიკური დაზიანების გარეშე. სარგავი მასალის ტრანსპორტირების დროს ასევე უნდა იყოს დაცული შესაბამისი წესები.
- გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო;

- სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
- ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან;
- კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
- სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
- ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ისე, რომ ხის კომი 5 – 10 სმ–ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
- კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;
- ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
- ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
- ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
- სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
- ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
- ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

▪ ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

- ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
- გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის
- შესაბამისად;
- მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა– გაფხვიერება– განახლება;
- გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს
- სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
- მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
- დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
- შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის
- უზრუნველსაყოფად;
- ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ
- გასატარებელი ღონისძიებები;
- პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები

დირექტორი: *ც.ჯაფოშვილი*

დასარგავი ხე-მცენარეების სქემატური გეგმა



ფორმატი A-3 | თბილისი 2019 წ. | დაკვეთა №



3 ძირი ძაფკასიური ცაცხვი



5 ძირი იტალიური ფიჭვი

შენიშვნა:
ყითელ ფერში ნაჩვენებია არსებული ხე-მცენარეები მწვანე ფერში ნაჩვენებია ახალი დასარგავი ხე-მცენარეები

შ პ ს "გრიინ ბილდერს"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №16

ფოს: +995 568 37 84 48

ელ. ფოსტა: greenbuilders2019@gmail.com

საიტი: greenbuilders.ge

ობიექტის მისამართი

ქ. თბილისი, ვაბტანგ ნინუას ქ. #3

ს/კ: 01.12.12.001.196

დირექტორი

ცირა ჯაფოშვილი







დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

მისამართი : ქ. თბილისი, ვახტანგ ნინუას ქ. #3

საკადასტრო კოდი : 01.12.12.001.196

მესაკუთრე : სს „ბამბის ნართი“

ტერიტორიის მთლიანი ფართობი : 1599 კვ.მ

ფუნქციური ზონა : სამრეწველო ზონა 1

დადგენილი კ3 კოეფიციენტი : (ბრძანება #4772425)

- სამრეწველო ზონა 1 - 0,1





გამწვანების ფართობი : 159,9 კვ.მ

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები : 8 ძირი პირამიდალური კვიპაროსი, 6 ძირი აღმოსავლური ჭადარი

ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავი მწვანე ნარგავების რაოდენობა :

- 5 ძირი - კავკასიური ცაცხვი - (სიმაღლე -> 3.5 მ.-დან) (ღეროს გარშემოწ. -> 20 სმ-დან) (ასაკი -> 10 წ.)
- 6 ძირი - ჰიმალაის კედარი- (სიმაღლე -> 3 მ.-დან) (ღეროს გარშემოწ. -> 20 სმ-დან) (ასაკი -> 10 წ.)



ნებართვის გამცემი ორგანო : ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 30.12.2022

მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა: 3 წელი

მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი: სს „ბამბის ნართი“

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

წერილის ნომერი: **65-01180302852**

თარიღი: **30.01.2018**

ადრესატი:
სს ბამბის ნართი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200003085
მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვახტანგ ნინუას ქ., №3

სს ,,ბამბის ნართის'' დირექტორს
თეონა ლებახიძეს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 17 იანვრის განცხადების (რეგისტრაციის # 10/0118017235-65; 17.01.2018 წ.) პასუხად გიგზავნით ქ. თბილისში, ვ. ნინუას ქ. #3 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.196) მდებარე 11 (თერთმეტი) ერთეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი შეფასების თაობაზე საექსპერტო დასკვნას (იხ. დანართი).

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი - დირექტორი

თამაზ დარჩიძე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

02-22/ 34
დასკვნის ნომერი

29.01.2018
დასკვნის მომზადების თარიღი

30.01.2018
დასკვნის გაცემის თარიღი

1	საფუძველი	სს ბამბის ნართის დირექტორის თეონა ლეგანიძის 2018 წლის 17 იანვრის განცხადება #10/0118017235-65
2	განმცხადებელი/უფლებამოსილი პირი	სს ბამბის ნართის დირექტორი თეონა ლეგანიძე

ს/კ 200003085
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი

3	საექსპერტო ობიექტის მისამართი	ქ.თბილისი, ვახტანგ წიწუას ქუჩა # 3	ს/კ >> 01.12.12.001.196

4 საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება / კვლევის მეთოდი

საექსპერტო ობიექტი წარმოადგენს გამწვანებულ ტერიტორიას და მდებარეობს ვაკე ადგილზე. ობიექტზე ფიქსირდება ბევრი ხემცენარე. დამკვეთის მოთხოვნით აღწერა - შეფასება ჩაუტარდა 11 ეგზემპლარს. შეფასებული ხემცენარეების გარდა ობიექტზე გვხდება შემდეგი სახეობა - მარადმწვანე კვიპაროსი - 8 ჯანსაღი ეგზ.; აღმოსავლური ჭადარი - 5 ჯანსაღი ეგზ.; ელდარის ფიჭვი - 6 დაავადებული ეგზ.; აღმოსავლური ბიოტა - 3 ჯანსაღი ეგზ. და საპნის ხე - 1 ხმობადი ეგზ. სულ 23 ეგზემპლარია. მცენარეების აღწერა ჩატარდა ტაქსაციური გაზომვებითა და ვიზუალურად. დაავადებული ეგზემპლარების კვლევის შედეგი ეფუძნება ფაქტობრივი მასალის მიკროსკოპული ანალიზისა და იდენტიფიკაციის შედეგებს. სოკოები იდენტიფიცირებული იქნა მათი ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა მეთოდურ წყაროებზე დაყრდნობით (Хохряков М.К. Методические указания ло экспериментальному изучению фитопатогенных грибов. Л.,1969, Кирай З. и др. Методы фитопатологии. Москва, Колос.1974, Билай В.И. и др.Методы экспериментальной микологии. Киев "Наукова думка" , 1982, Hawksworth D. L. Mycologist's Handbook, Kew: Commonwealth Mycological institute, 1974). მიკროსკოპირებისათვის საჭირო პრეპარატები (ანათლები) მომზადდა სამართებლით, მოთავსდა ონკანის წყალში და გაისინჯა სინათლის მიკროსკოპით. სოკოს სახეობის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იქნა კლასიკური და თანამედროვე სარკვევები.

5 საექსპერტო ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (1.3 მ-ზე)	D (0,1 მ-ზე)	H	ასაკი*	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე		63,0	19,0		წვერხმელი, დაავადებული	
2	საპნის ხე Koelreuteria paniculata	ხე		31,2	7,0		ზეხმელი	გადაბელილია 5,0 მ სიმაღლეზე
3	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე		47,1	17,0		წვერხმელი, დაავადებული	
4	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე		54,7	18,0		წვერხმელი , დაავადებული	
5	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე		65,0	19,0		წვერხმელი, დაავადებული	
6	საპნის ხე Koelreuteria paniculata	ხე		22,3			ხმობადი	გადაბელილია 3,0 მ სიმაღლეზე
7	საპნის ხე Koelreuteria paniculata	ხე		30,2	6,0		ხმობადი	გადაბელილია 3,0 მ სიმაღლეზე
8	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე		70,7	18,0		წვერხმელი, დაავადებული	ვარჯის ცალი გვერდი ხმელი წიწვებით
9	საპნის ხე Koelreuteria paniculata	ხე		24,5	2,0		ხმობადი	გადაჭრილია 0,7 მ სიმაღლეზე
10	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე		62,1	15,0		წვერხმელი, დაავადებული	
11	აღმოსავლური ჭადარი Platanus orientalis	ხე		119,0	11,0		ხმობადი	გადაბელილია 6,0 მ სიმაღლეზე. ღეროზე ფესვის ყელიდან 1,5 მ სიმაღლეზე დიდი ფუღუროა.

ინფორმაცია მცენარეებთან დაკავშირებულ მავნებელ დაავადებათა შესახებ			
არის #	სახეობა	მავნებლები და დაავადებები	რეკომენდაციები
1	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	აღენიშნება წვერხმელობა. სიყვითლე იწყება წვერიდან და ჩამოდის ქვემოთ. როგორც შეყვითლებულ წიწვებზე, ისე საღ წიწვებზე დაფიქსირდა პიკნიდიუმები შავი წერტილების სახით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პარაზიტი ჩანთიანი სოკო - *Lophodermium pinastri,* რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. მთავარი ღეროს მთელ სიგრძეზე მრავ;ლად ფიქსირდება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ფისოვანი გამონადენი. ხმელი ქერქის მასაში გამოვლინდა დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევი სოკოა - *Cenangium ferruginosum,* რომელიც იწვევს მსხვილი და წვრილი ტოტების ხმობას, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოვლინდა.	შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების და მავნებლის ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.
3	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	აღენიშნება წვერხმელობა. სიყვითლე იწყება წვერიდან და ჩამოდის ქვემოთ. როგორც შეყვითლებულ წიწვებზე, ისე საღ წიწვებზე დაფიქსირდა პიკნიდიუმები შავი წერტილების სახით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პარაზიტი ჩანთიანი სოკო - *Lophodermium pinastri,* რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. მთავარი ღეროს მთელ სიგრძეზე მრავ;ლად ფიქსირდება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ფისოვანი გამონადენი. ხმელი ქერქის მასაში გამოვლინდა დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევი სოკოა - *Cenangium ferruginosum,* რომელიც იწვევს მსხვილი და წვრილი ტოტების ხმობას, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოვლინდა.	შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების და მავნებლის ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.
4	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	აღენიშნება წვერხმელობა. სიყვითლე იწყება წვერიდან და ჩამოდის ქვემოთ. როგორც შეყვითლებულ წიწვებზე, ისე საღ წიწვებზე დაფიქსირდა პიკნიდიუმები შავი წერტილების სახით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პარაზიტი ჩანთიანი სოკო - *Lophodermium pinastri ,* რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. მთავარი ღეროს მთელ სიგრძეზე მრავ;ლად ფიქსირდება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ფისოვანი გამონადენი. ხმელი ქერქის მასაში გამოვლინდა დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევი სოკოა - *Cenangium ferruginosum,* რომელიც იწვევს მსხვილი და წვრილი ტოტების ხმობას, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოვლინდა.	შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების და მავნებლის ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.
5	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	აღენიშნება წვერხმელობა. სიყვითლე იწყება წვერიდან და ჩამოდის ქვემოთ. როგორც შეყვითლებულ წიწვებზე, ისე საღ წიწვებზე დაფიქსირდა პიკნიდიუმები შავი წერტილების სახით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პარაზიტი ჩანთიანი სოკო - Lophodermium pinastri, რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. მთავარი ღეროს მთელ სიგრძეზე მრავ;ლად ფიქსირდება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ფისოვანი გამონადენი. ხმელი ქერქის მასაში გამოვლინდა დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევი სოკოა - Cenangium ferruginosum, რომელიც იწვევს მსხვილი და წვრილი ტოტების ხმობას, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოვლინდა.	შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების და მავნებლის ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.

6	საპნის ხე Koelreuteria paniculata	წინა წლებში გადაბელილია 3,0 მ სიმაღლეზე. მთავარი ღერო დაზიანებულია. ფესვის ყელიდან 80 სმ-ის სიმაღლეზე დაფიქსირდა საკმაოდ დიდი ღია ფუღუროო, რომელიც დაზიანებულია მავნებლის სასვლელებით და ნიღრღნით. გადაბელილ ადგილზე ახეთქილია ქერქი და მერქანზე ფიქსირდება აბედა სოკოების ოჯახების - Telephoraceae (ტელეპოროვანი) და Polyporaceae (პოლიპოროვანი) წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით მიმდინარეობს მერქნის გულის ლპობა. ტოტების 70% ხმელი და ჩამოტეხილია.	შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.
7	საპნის ხე Koelreuteria paniculata	წინა წლებში გადაბელილია 3,0 მ სიმაღლეზე. მთავარ ღეროზე დაფიქსირდა ნახეთქი ჭრილობები და რამდენიმე ადგილას ახეთქილი აქვს ქერქი. სადაც ფიქსირდება, როგორც სიშავის გამომწვევი, ისე აბედა სოკოების ოჯახების - Telephoraceae (ტელეპოროვანი) და Polyporaceae (პოლიპოროვანი) წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით მიმდინარეობს მერქნის გულის ლპობა. ტოტების 70% ხმელი და ჩამოტეხილია.	შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.
8	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ვარჯის ცალ მხარეს წიწვები წვეროდან დაწყებული მთლიანად შეყვითლებულია, როგორც შეყვითლებულ წიწვებზე, ისე საღ წიწვებზე დაფიქსირდა პიკნიდიუმები შავი წერტილების სახით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პარაზიტი ჩანთიანი სოკო - *Lophodermium pinastri,* რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. მთავარი ღეროს მთელ სიგრძეზე მრავ;ლად ფიქსირდება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ფისოვანი გამონადენი. ხმელი ქერქის მასაში გამოვლინდა დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევი სოკოა - *Cenangium ferruginosum* , რომელიც იწვევს, როგორც მსხვილი და წვრილი ტოტების, ასევე ვარჯის გარკვეული მონაკვეთის ხმობას, რაც ჩვენს შემთხვევაში სახეზეა.	შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების და მავნებლის ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.
9	საპნის ხე Koelreuteria paniculata	წინა წლებში გადაჭრილია 0,7 მ სიმაღლეზე. გადანაჭერი ადგილი დაინფიცირებულია აბედა სოკოების ერთ -ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობის - *Schizophyllum commune* თეთრი ნაყოფსხეულებით, რომელიც ღრმადაა შეჭრილი მერქანში და მიმდინარეობს ხის გულის მურა სიდამპლე. ფიქსირდება რამდენიმე საღი ტოტი.	შესწავლილი ეგზემპლარი დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.
10	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	აღენიშნება წვერხმელობა. სიყვითლე იწყება წვერიდან და ჩამოდის ქვემოთ. როგორც შეყვითლებულ წიწვებზე, ისე საღ წიწვებზე დაფიქსირდა პიკნიდიუმები შავი წერტილების სახით. მიკროსკოპული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა პარაზიტი ჩანთიანი სოკო - *Lophodermium pinastri,* რომელიც იწვევს წიწვების ფერის შეცვლას, გაწითლებას და წვერხმელობას. მთავარი ღეროს მთელ სიგრძეზე მრავ;ლად ფიქსირდება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ფისოვანი გამონადენი. ხმელი ქერქის მასაში გამოვლინდა დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევი სოკოა - *Cenangium ferruginosum,* რომელიც იწვევს, როგორც მსხვილი და ასევე წვრილი ტოტების ხმობას, რაც ჩვენს შემთხვევაშია სახეზეა.	შესწავლილი ეგზემპლარი განიცდის სოკოების და მავნებლის ზემოქმედებას. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. განკურნებას არ ექვემდებარება.
11	აღმოსავლური ჭადარი Platanus orientalis	წინა წლებში გადაბელილია 6,0 მ სიმაღლეზე. მთავარ ღეროზე ფესვის ყელიდან 2 მ -ის სიმაღლეზე ფიქსირდება საკმაოდ ღრღმა დიდი ღია ფუღუროო, ფუღუროში ხის გული მთლიანად არის დაშლილი და მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის ლპობა, რაშიც მონაწილეობს, როგორც სიდამპლის გამომწვევი სოკოები - Heterobasidion - ის გვარიდან, ისე მერქნის დამშლელი აბედა სოკოების წარმომადგენლები.	შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი და გადაბერებული. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას. მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. ხმობა დიდი ხნის წინ არის დაწყებული. ეგზემპლარი ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება.

საექსპერტო ობიექტის თაობაზე საერთო დასკვნა
ობიექტზე აღწერილია 11 ხემცენარე. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა არის წვერხმელი, ხმობადი და დაავადებული ეგზემპლარი.

8	დანართი: კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა	კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა ჩაწერილია CD დისკზე (28 ფოტოსურათი).
9	საექსპერტო ჯგუფის წევრ(ებ)ი	



სვეტლანა ხმალაძე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილების უფროსი,ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



ქეთევან თავართქილაძე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილების მცენარეთა დაცვის ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

* შენიშვნა: ასაკის განსაზღვრა ხდება მხოლოდ საქართველოს წითელ წიგნებში რიგებულ მერქნიან მცენარეებზე

ბოტანიკურის ქ. #1, 0105 თბილისი, საქართველო, ტელ: (032) 2 72 43 06, ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge www.nbg.gov.ge
1 Botanikuri str, 0105 Tbilisi, Georgia. National Botanical garden of Georgia. Member of BGCI. Institution code: TBI

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.12.12.001.196

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882017284081 - 10/04/2017 11:44:41	11/04/2017 12:59:47

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ნაძალადევი		
01	12	12	001/196

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიკოლაჯი , N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ნინუა , N 3

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1599.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.12.12.001.176;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016127404 , თარიღი 02/03/2016 18:00:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/03/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N110376377 , დამოწმების თარიღი:13/04/2011 ,ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე
- გადაწყვეტილება N1612625 , დამოწმების თარიღი:25/11/2014 , თბილისის არქიტექტურის სამსახური
- სანოტარო წესით 2003 წლის 12 მარტს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე; რეესტრის N4224/1). სანოტარო წესით 2003 წლის 12 მარტს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გამიჯვნით (ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე; რეესტრის N4223/1). სანოტარო წესით 2003 წლის 6 აგვისტოს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები (ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე; რეესტრის N5058/1 და N5059/1).
- წერილი N369/4-23 , დამოწმების თარიღი:21/06/2010 , ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N110778495 , დამოწმების თარიღი:26/07/2011 ,ნოტარიუსი ნ.გინგური
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 23 მარტის N06.38.187 დადგენილება.
- საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 21 სექტემბრის N06-751/7-9 წერილი. ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 1999 წლის 23 დეკემბერს გაცემული ტექნიკური პასპორტი. ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2000 წლის 11 მაისის N19 გადაწყვეტილება.
- ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1999 წლის 17 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.
- ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს კოლეგიის 1994 წლის 26 დეკემბრის N19.21.321 გადაწყვეტილება.
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N110778514 , დამოწმების თარიღი:26/07/2011 ,ნოტარიუსი ნ.გინგური
- გადაწყვეტილება N2370529 , დამოწმების თარიღი:31/12/2015 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
- ნასყიდობის ხელშეკრულება N090200159 , დამოწმების თარიღი:17/06/2009 ,ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე
- გადაწყვეტილება N1410463 , დამოწმების თარიღი:29/07/2014 , თბილისის არქიტექტურის სამსახური
- გადაწყვეტილება N1396129 , დამოწმების თარიღი:21/07/2014 , თბილისის არქიტექტურის სამსახური
- სანოტარო წესით 2001 წლის 8 ივნისს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე; რეესტრის N1-317). სანოტარო წესით 2001 წლის 27 ნოემერს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე; რეესტრის N645/1). სანოტარო წესით 2002 წლის 10 ოქტომბერს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე; რეესტრის N3106/1). ნოტარიუსი ქ. ოდილავაძის მიერ დამოწმებული მიწის ნაკვეთის გამიჯვნის სქემა რეესტრის NN3427/1, 3428/1, 3436/1).
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N110778514 , დამოწმების თარიღი:26/07/2011 ,ნოტარიუსი ნ.გინგური
- გადაწყვეტილება N2456581 , დამოწმების თარიღი:29/02/2016 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახური

- სანოტარო წესით 2003 წლის 13 ნოემბერს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე; რეესტრის N5876/1). სანოტარო წესით 2005 წლის 2 აგვისტოს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ნოტარიუსი ც. ბერიძე; რეესტრის N1-7584). სანოტარო წესით 2005 წლის 19 სექტემბერს დამოწმებული უძრავი ქონების გამიჯვნის ხელშეკრულება (ნოტარიუსი ც. ბერიძე; რეესტრის N1-9428).
- გამიჯვნის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:09/08/2013 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება N090200159 , დამოწმების თარიღი:17/06/2009 ,ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე
- უძრავი ქონების გამიჯვნისა და ურთიერთსარგებლობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:20/11/2007 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
სააქციო საზოგადოება "ბამბის ნართი", ID ნომერი:200003085

მესაკუთრე:

აღწერა:

სააქციო საზოგადოება "ბამბის ნართი"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

შ.პ.ს.
სილვა გრუპი

SILVA GROUP
LTD

N 002/393

13. 11. 2018 წ

სააქციო საზოგადოება "ბამბის ნართი"-ს
ID ნომერი:200003085

ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის N 17–55 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N 5 – 31 ბრძანების საფუძველზე შევისწავლე მისამართი: ქალაქი თბილისი, ჭუჩა ტრიკოტაჟი, N 3 / ქალაქი თბილისი, ჭუჩა ვ.ნინუა, N 3. საკადასტრო კოდი: N 01.12.12.001.196 არსებული ხე–მცენარეების მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ საექსპერტო დასკვნას მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე და ფოტომასალას 1 CD დისკზე.

პატივისცემით,

დირექტორი
დავით კობახიძე

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st, Tbilisi, Georjia, (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

თარიღი: 13.11.2018წ
მისამართი: ქალაქი თბილისი, ჭუჩა ტრიკოტაჟი, N 3 / ქალაქი თბილისი, ჭუჩა ვ.ნინუა, N 3
საკადასტრო კოდი: N 01.12.12.001.196
ფართობი: 1599.00 კვ.მ
დამკვეთი: სააქციო საზოგადოება "ბამბის ნართი" ID ნომერი:200003085
ტერიტორიაზე არსებული და შეფასებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა: 5

დამკვეთის მიერ მოჭრა/გადარგვაზე მოთხოვნილი მწვანე ნარგავების რაოდენობა - 5 (2 ძირი ხმობადია, 2 ძირი ზეხმელი ხე-მცენარის მოჭრა და 1 ძირი ხე-მცენარის გადარგვა)

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	ხე	54.1	47.4	17	ზეხმელი	
2	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	ხე	45.2	36.3	17	ხმობადი	იხ.ლაბორატორიული დასკვნა
3	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	ხე	52.5	42.7	15	ხმობადი	იხ.ლაბორატორიული დასკვნა
4	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	ხე	44.6	39.4	17	ზეხმელი	
5	კელრეუტერია (Koelreuteria paniculata)	ხე	27.7	24.2	6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა

ტერიტორიაზე განთავსებული 5 ძირი ხე–მცენარის წუსხა სახეობების მიხედვით

1. *მაღალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი ხე-მცენარე* **4 ძირი:**
   - 4 ძირი (N 1, N 2, N 3, N 4) **ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica.**

დავით კობახიძე პ/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ. N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26 11
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

2. *დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე* 1 ძირი:

- 1 ძირი (N 5) კელრეუტერია - **Koelreuteria paniculata.**

იხ. ცხრილი N 1.

ალრიცხული 5 ძირი ხე–მცენარიდან:

1. *ხმობადია* 2 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ:

- 2 ძირი (N 2, N 3) ელდარის ფიჭვი - **Pinus eldarica.**

იხ. ლაბორატორიული დასკვნა.

2. *ზეხმელია* 2 ძირი ხე-მცენარე, კერძოდ:

- 2 ძირი (N 1, N 4) ელდარის ფიჭვი - **Pinus eldarica.**

3. *ჯანსაღია* 1 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ:

- 1 ძირი (N 5) კელრეუტერია - **Koelreuteria paniculata.**

ჯანსაღი 1 ძირი ხე–მცენარის დიამეტრი 25 სმ–ზე მეტია, 25 სმ–ზე დიდი დიამეტრის ხე–მცენარეები ითვლებიან დიდტანოვან ეგზემპლარებად და მათ გადარგვას სჭირდება სპეციალური ტექნიკით გადატანა ან შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება.

ლაბორატორიული დასკვნა

2 ძირ ხე–მცენარეზე ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა შ.პ.ს „ბიოაგრო–მცანარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის“ ლაბორატორიაში. მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ყოფილი თვალჭრელიძის ქუჩა ნაკვეთი 06/012, ”ოფისი“ მე–2 სართული. კერძოდ:

- 2 ძირი (N 2, N 3) ელდარის ფიჭვი - **Pinus eldarica.**

დაავადებული ეგზემპლარის კვლევის შედეგი ეფუძნება ფაქტობრივი მასალის მიკროსკოპული ანალიზისა და იდენტიფიკაციის შედეგებს. მიკრო და მაკრომიცეტი სოკოები იდენტიფიცირებული იქნა მათი ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა მეთოდურ წყაროებზე დაყრდნობით (Хохряков, 1969, Метод,ы, 1974, Hawksworth, 1974). მიკროსკოპირებისათვის საჭირო პრეპარატები (ანათლები) მომზადდა სამართებლით, მოთავსდა ონკანის წყალში და გაისინჯა სინათლის მიკროსკოპით. სოკოს სახეობის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იქნა კლასიკური და თანამედროვე სარკვევები.

დავით კობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26 11
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

ადგილზე შეგროვდა საკვლევი ფაქტობრივი მასალა (ქერქის ანათლები, ხმელი ტოტები, ნაღრღნი, აღებული იქნა ნიმუში პრესლერის ბურთით), აღებული ნიმუშების და მიკრო და მაკრომიცეტი სოკოს მომწიფებული ნაყოფიანობის მქონე ნიმუშების იდენტიფიკაცია მოხდა მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლენილია რიგი მავნებლები და დაავადებები, რომელიც შესწავლილი და აღწერილია საექსპერტო დასკვნაში.

ლაბორატორიულ კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იქნა მავნებლების და სოკოების იდენტიფიკაციის კლასიკური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გარეგნული და სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორ–ფოლოგიური) ნიშნების აღწერას (Shoemaker, 1964).

კვლევის შედეგები

N 2 ელდარის ფიჭვი Pinus eldarica - მდგომარეობა - ხმობადი. ტოტების და წიწვების 80% ხმელია. ხმელი ტოტებზე და ღეროს ქერქის ნაპრალებში ფიქსირდება დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევია პათოგენი მიკრომიცეტი სოკო - *Cenangium ferruginosum,* რომელიც იწვევს, როგორც მსხვილი და წვრილი ტოტების ხმობას, ისე ვარჯის გარკვეული მონაკვეთის ხმობას. ღეროს ქერქის ქვეშ აღინიშნა საკმაო რაოდენობის მავნებლის კერები, ხვრელები და სასვლელები. ქერცლების ქვეშ ან უშუალოდ ქერქზე შეიმჩნევა მავნებლის კვერცხის გროვები და კანის გამონაცვალი, რომლებიც ამოვსებულია მავნებლის ნაბურღი ფქვილით, ფისოვანი ნივთიერებით და სდით წებო. აღნიშნულ სიმპტომებიდან გამომდინარე საქმე გვაქვს მავნებელთან - ფიჭვის ალურასთან Diosryctria splendidella.ქვედა ტოტები ჩამოტეხილია.

დასკვნა: დაზიანებულია მავნებლებით და დაავადებულია სოკოვანი დაავადებით, რომელსაც ათვისებული აქვს მთლიანად მცენარე. რის გამოც განკურნება შეუძლებელია.

N 3 ელდარის ფიჭვი Pinus eldarica - მდგომარეობა - ხმობადი. ტოტების და წიწვების 90% ხმელია. ხმელი ტოტებზე და ღეროს ქერქის ნაპრალებში ფიქსირდება დაავადება ფიჭვის ცენანგიოზი, რომლის გამომწვევია პათოგენი მიკრომიცეტი სოკო - *Cenangium ferruginosum,* რომელიც იწვევს, როგორც მსხვილი და წვრილი ტოტების ხმობას, ისე ვარჯის გარკვეული მონაკვეთის ხმობას. ღეროს ქერქის ქვეშ აღინიშნა საკმაო რაოდენობის მავნებლის კერები, ხვრელები და სასვლელები. ქერცლების ქვეშ ან უშუალოდ ქერქზე შეიმჩნევა მავნებლის კვერცხის გროვები და კანის გამონაცვალი, რომლებიც ამოვსებულია მავნებლის ნაბურღი ფქვილით, ფისოვანი ნივთიერებით და სდით წებო. აღნიშნულ

დავით კობახიძე ი/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26 11
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

სიმპტომებიდან გამომდინარე საქმე გვაქვს მავნებელთან - ფიჭვის ალურასთან Diosryctria splendidella. ქვედა ტოტები ჩამოტეხილია.

დასკვნა: დაზიანებულია მავნებლებით და დაავადებულია სოკოვანი დაავადებით, რომელსაც ათვისებული აქვს მთლიანად მცენარე. რის გამოც განკურნება შეუძლებელია.

შემსრულებელი: *დავით კობახიძე*
ექსპერტი

დავით კობახიძე პ/ნ 01023000633, საქართველო, თბილისი, 0178 , ი. სიხარულიძის ქ, N 1 , ტელ: (+559) 551 60 62 26 11
Davit Kobakhidze I/D 01023000633, Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, 0178. Tel: (+559) 551 60 62 26 Email: davitkob@gmail.com

ხელშეკრულება
(ოთხი ხის საკონპენსაციო დარგვის შესახებ)

ქ.თბილისი 2019 წლის 11 მარტი

ერთის მხრივ ს.ს ბამბის ნართი. ს/კ 200003085 (შემდგომში წოდებული „დამკვეთი") წარმოდგენილი ოთარ ლებანიძის (პ/ნ 01030045186) სახით, ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გრინაურა" (შემდგომში წოდებული „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ხატია ენდელაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ფასი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხეების დარგვა, რომელთა სახეობები ამორჩეული უნდა იყოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან.

2. ხეების დარგვა უნდა განხორციელდეს 2019 წლის 31 დეკემბრამდე

N	ხის დასახელება	ხის პარამეტრები	რაოდენობა	ფასი დღგ-ს ჩათვლით
1	იტალიური ფიჭვი Pinus pinea	არანაკლებ 3,5 მ	4	800

2. განსაკუთრებული პირობები

1. შემსრულებელი ვალდებულია ზედამხედველობის გაწევის მიზნით საკონპენსაციოდარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით, არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს:
1.1. ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს;
1.2. ქ.თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას;
1.3. დამკვეთს.
2. შემსრულებელს ეკრძალება განახორციელოს მწვანე ნარგავების დარგვა, სანამ 3(სამი) სამუშაო დღით ადრე წერილობით ინფორმაციას არ წარუდგენს:
2.1. ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს;
2.2. ქ.თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას;
2.3. დამკვეთს.
3. დამკვეთი, ისევე როგორც მერიის გარემოდაცვის საქალაქო სამსახური ან/და ქ.თბილისის მუნიციპალური ინსპექცია უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რომლი მიზანია შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და კანონმდებლობასთან.
4. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი წერილობით აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
5. თავად შემსრულებლის მიერ გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთს წერილობით აცნობებს წუნდების მიზეზების მითითებით.

3. ვადები, პირობები და ადგილი

1. ხეების დარგვა უნდა მოხდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში არაუგვიანეს 2019 წლის დეკემბრამდე
2. ხეების დარგვა უნდა განხორციელდეს დამკვეთის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, საკ.კოდით 01.12.12.001.196
3. დარგვის კონკრეტულ ადგილს დამკვეთი შემსრულებელს შეატყობინებს ხეების დარგვამდე 1 თვით

ადრე.

4. მიღება-ჩაბარების წესი

1. სამუშაო შესრულებულად ითვლება შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში და მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

5. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

1. დამკვეთის მიერ ანგარიშწორება განხორციელდება შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებიდან, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
2. ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.
3. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. დამკვეთს უფლება აქვს:
   1.1. შეამოწმოს შემსრულებლის მხრიდან განხორციელებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
   1.2. შემსრულებელს მოსთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
   1.3. ხელშეკურლებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ყოველ გადაცილებულ დღეზე.
   1.4. შემსრულებელს მოსთხოვოს განმეორებითი საკონპენსაციო რგვა ხეების გახმობის ან დაავადების შემთხვევაში.
   1.5. დაავალოს შემსრულებელს დარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიშისა და ფოტომასალის წარდგენა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოთვის (ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს)
2. დამკვეთი ვალდებულია:
   2.1. მოახდინოს ანგარიშწორება „შემსრულებელთან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
3. შემსრულებელს უფლება აქვს:
   3.1. აცნობოს „დამკვეთს“რაიმე პრობლემის არსებობის ან სავარაუდოდ მისი წარმოშობის შესახებ, რამაც გამოიწვია, ან შეიძლება გამოიწვიოს შესასრულებელი სამუშაოს შეფერხება.
   3.2. მოსთხოვოს „დამკვეთს“ შესრულებული სამუშაო ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7. მხარეთა შორის ელექტრონული მიმოწერა

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ერთმანეთთან წერილობითი ფორმით ურთიერთობისას გამოიყენებენ ასევე ელექტრონულ მიმოწერას, რომელსაც აქვს ტოლფასი იურიდიული ძალა;
2. მიმოწერის დროს მხარეების გამოიყენებენ რეგისტრირებულ იურიდიულ მისამართებს.
3. მხარეთა შორის გაგზავნილი ყველა ელექტრონული ინფორმაცია უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
   3.1. დამკვეთისათვის -s.s.bamibisnarti@mail.ru;
   3.2. შემსრულებლისათვის greenaura14@gmail.com
4. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ელექტრონული მისამართების შეცვლამდე 2 სამუშაო დღით ადრე აუცილებლად აცნობებენ ერთმანეთს.
5. მხარეთა შორის კომუნიკაციის, მიმოწერის, საქმის წარმოების ენა ქართულია.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და შემსრულებლის მიერ ნაკისრ ვადაში ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკებების საფუძველზე.
2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი 11 მუხლისა.

10. სხვა პირობები

1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერილ მხარეებთან,
5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი: ს.ს. „ბამბის ნართი" ს/კ 200003085 მისამართი: ვ.ნინუას ქ N 3 ტელ: 591938887 ს.ს ბამბის ნართი. ს/კ 200003085 დირექტორი : თეონა ლებანიძე	შემსრულებელი შ.პ.ს. „გრინაურა" ს/კ 406248902 მისამართი: ქეთევან წამებულის 73, ტელ: 555 18 75 75 საბანკო ანგარიში: ანგარიშის ნომერი GE49BG0000000101153043 დირექტორი ხატია ენდელიძე





წერილის ნომერი: 18-01190254138
თარიღი: 25/01/2019
პინი: 6832

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2018 წლის 12 დეკემბრის #60-01183461971 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (თეონა ლებანიძის AR1646760 განცხადებით წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა) რომლითაც იგი ითხოვს, სს „ბამბის ნართის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქალაქი თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. #3, ვ.ნინუას ქ. #3 სკ.: 01.12.12.001.196; ფუნქციური ზონა: სამრეწველო ზონა 1) III კლასის ქარხნის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას).

გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ ზეხმელ და დაავადებულ ხე-მცენარეებზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 4 ძირი მწვანე ნარგავი არის დაავადებულია (რაც დასტურდება წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნით და სამსახურის სპეციალისტის მიერ ხე-მცენარეების ვიზუალური დათვალიერებით) და მათი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს 4 ძირი ხმობადი, დაავადებული ელდარის ფიჭვის (#1-54,1სმ; #2-45,2სმ; #3-52,5სმ; #4-44,6სმ) მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

აქვე, გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ განმცხადებელს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 4 ძირი, არანაკლებ 3, მ სიმაღლის წიწვოვანი ნერგის დარგვა (გარდა კვიპაროსის, ელდარის და შავი ფიჭვისა) (ნერგის გარეშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი), წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე საკადასტრო მიწაზე (ქალაქი თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. #3, ვ.ნინუას ქ. #3 სკ.: 01.12.12.001.196) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის

ურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა.

ძიმღები ვალდებულია მწვანე ნარგავის ჭრისა და საკომპენსაციო რგვის დაწყების
და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და მუნიციპალურ ინსპექციას
ეთვალყურეობის გაწევის მიზნით (ჭრისა და დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო
თ ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის ჭრა ჩაითვლება უკანონოდ, ხოლო
რგვა არ ჩაითვლება შესრულებულად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ სამ თვეში ერთხელ დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დარგული ხის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტო-მასალა.

აგრეთვე, მოგახსენებთ, რომ დარგვიდან 3 წლის განმავლობაში დარგული მწვანე ნარგავის გახმობის შემთხვევაში განმცხადებელს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელება-საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

დამატებით გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს დიდტანოვანი (25 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის ხე) ხე-მცენარის (#5 კელრეუტერია - 27,7სმ) გადარგვის შესახებ, აუცილებელია განმცხადებელმა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ პირისგან (ფიზიკური/იურიდიული), რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეც. ტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

შესაბამისად, სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს, აღნიშნული მწვანე ნარგავის გადარგვის საკითხი.

ხოლო, წარმოდგენილ გამწვანების პროექტს, სამსახური განიხილავს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

დანართი 1

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მწვანე არქიტექტურა"

ი ნ ვ ო ი ს ი N 02-19/05

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო მომსახურება

მიმწოდებელი:	შპს მწვანე არქიტექტურა
მისამართი:	ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, იავნე მიქელაძის ჩიხი, N3
საიდენტიფიკაციო ნომერი:	402101444
მიმღების ბანკი:	ს.ს. თი ბი სი ბანკი
ანგარიშის ნომერი:	GE09TB7173136080100007
ბანკის კოდი:	TBCBGE22
დამკვეთი:	[illegible]
დამკვეთის საიდენტიფიკაციო ნომერი	[illegible]
დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია	
დამკვეთის მისამართი	[illegible]



თარიღი 13.03.2019

№	მომსახურების დასახელება	ერთეული ს ფასი (ლარებში)	მოხმარებული რაოდენობა	ღირებულება (ერთ. ფასი x მოთხ რაოდენობა)
1	[illegible]	170	1	170.00

	ჯამი	170.00
	დღგ	30.60
	სულ ჯამი (გადასახდელი თანხა):	200.60

მომსახურების გაწევა განხორციელდება თანხის ჩარიცხვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში

ღირებულება მოექცევა ერთვნული ეკლიპტიკის დღგ-ს ჩათვლით

დირექტორი გ. გუგუნიშვილი



გადარგვის პროექტი

დამკვეთი: ს.ს „ბამბის ნართი“

მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟის ქუჩა #3, ვ.ნინუას ქუჩა #3

საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.196

თარიღი: 13.03.2019

გადასარგავი მწვანე ნარგავის საერთო რაოდენობა: 1

ზოგადი ნაწილი

ტერიტორიაზე არსებული 1 მერქნიანი მცენარის (#5), რომლისდიამეტრი 25 სმ-ზედიდიაგადარგვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემული მეთოდოლოგიით (იხ. ცრილი #1)

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ

ცხრილი N 1

რიგის #	ხის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	Do დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე	მდგომარეობა	შენიშვნა
1	5	კელრეუტერიაKoelreuteriapaniculata	ხე	27,7	6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა

გადარგვის პროექტი

(იხ.ცხრილი #1)

დიდი ზომის მერქნიანი ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოხვნას და გადაიფარცხოს.

მერქნიანი ხე-მცენარის ამოღება:

- დიდტანოვანი ხის გადარგვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ტექნიკა, კერძოდ: კოვშიანი ტრაქტორი და ამწეკრანი;
- ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელიდან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე არანაკლებ 1.7 მ -ის;
- ხის გადარგვის დროს უნდა მოხდეს ამოსაღები კომის ფიქსირება იმ საშუალებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
- გადასარგავი ფოთლოვანი მცენარის ვარჯი უნდა დამოკლდეს.
- ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე;
- კომის გარშემო კეთდება ტრანშეა. ტრაქტორზე გამობმული ფოლადის მავთულით ჩაიჭრება ქვედა ფესვთა სისტემა, წამოიწევა ამწეკრანით და შემოეხვევა ქვევიდან სატომრე მასალა (ჯვალოს ნაჭრი), ან სპეციალური მეტალის ბადით;
- ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი (მეტალის კონსტრუქცია, ხის ჩარჩოები, მავთულბადე, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ);
- მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის მთავარ ღეროზე აკეთებენ სპეციალურ ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავის შალითას, რომლის დანიშნულებაა გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო დაზიანებისაგან;
- ხის ამოღება უნდა განხორციელდეს ამწე მოწყობილობებით, რათა კომი გადარგვის პროცესში არ დაიშალოს და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა.

მერქნიანი ხე-მცენარის გადარგვა:

- სარგავიორმოუნდამომზადდესმცენარისდარგვამდე 5 დღით ადრე;
- სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9. -ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
- გადასარგავი ხე უნდა დაირგოს შენობის კედლიდან, ან მშენებარე ობიექტის საძირკველიდან 3 მ დაშორებით;
- დიდტანოვანი ხეთა გადარგვისას უნდა განისაზღვროს, თუ როგორ პირობებში იგრძნობს თავს მცენარე კომფორტულად: ტენიან, განათებულ, დაჩრდილვისას და ა.შ.:
- სარგავი ორმოს ამოღების დროს ნიადაგის ზედა ნაყოფიერეი ფენა ცალკე უნდა შევინახოთ, რომელიც გამოყენებული იქნება მცენარის დარგვისას;
- სარგავიორმოსფსკერიუნდაგაფხვიერდეს 10-20 სმსიმაღლეზედა მოეყაროსნიადაგისნაზავი (ტორფი, ან ნაკელი);
- ხისმოთავსებაორმოშიუნდაგანხორციელდესხისპირვანდელისივრცითიორიენტაციის გათვალისწინებით;
- ხისდარგვისშემდგომაუცილებელიახისღეროსფიქსირებაარანაკლებ 3 მხრიდან (ჭიგო, ან სარი);

- სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და იტკეპნება ისე, რომ არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა და ორმოშიარდარჩესჰაერი;
- მცენარესმიწაყრებაფესვისყელამდე, ორმოსნაპირებიმაღლდება 10-15 სმ-ითდასინესტისშესანარჩუნებლადკეთდებაე.წ. ჯამი, შემდგომხდებამისიმულჩირება;
- მცენარისდაგვისშემდგომუნდამოხდესნიადაგისმორწყვამისსრულგაჯირჯვებამდე;
- მცენარისათვისდიდიმნიშვნელობააქვსრეგულარულმორწყვასდასასუქებისგამოყენება ს.

მერქნიანი ხე-მცენარის შემდგომი მოვლა- პატრონობა:

- ხის მოვლა უნდა განხორციელდეს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში;
- მორწვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, ხოლო გვალვიან პერიოდში საჭიროა დამატებითი მორწყვა საჭიროების მიხედვით;
- შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვისათვის ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე;
- ახალ გადარგულ მცენარეებზე საჭიროა ჩატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიება მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ;
- გადარგვიდან ერთი წლის შემდეგ ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს ორგანო-მინერალური სასუქების შეტანა და მორწყვა;
- ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გაფხვიერება, გამარგვლა და განახლება;
- ხე-მცენარის გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

შემსრულებელი: მარიწე სირაძე

ექსპერტი



ხელშეკრულება

(მომსახურების გაწევის შესახებ)

ქალაქი თბილისი 14 მარტი 2019 წელი

- **დამკვეთი: სს „ბამბის ნართი"** (ს/კ200003085), წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი **თეონა ლებანიძე**
- **შემსრულებელი: შპს „მწვანე არქიტექტურა"** (402101444)წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი **გიორგი გუგუნაშვილი**

შემდგომში წოდებული მხარეები, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ, შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს მომსახურება, რომელიც აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში #1, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობების შესაბამისად.

1.2. დანართი #1 შეადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მომსახურებისგაწევისწესი

2.1. შემსრულებელივალდებულიამომსახურებაგაწიოსუშუალოდ.

2.2. მომსახურების გაწევისას, მისი ყველა ან რომელიმე ვალდებულების მესამე პირზე გადაკისრება შემსრულებელს შეუძლია მხოლოდ დამკვეთის წერილობითი თანხმობით.

2.3. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს დანართ #1-ში მითითებულ მისამართზე და ვადებში.

2.4. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს მაღალი ხარისხით.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **15300,00(თხუთმეტიათას სამასიდა 00 თეთრი)** ლარს (გადარგვის მომსახურება შეადგენს 4500 (ოთხიათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს და 10800 ათიათას რვაასი ლარი და 00 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და ხარჯს.

3.2. ანგარიშსწორებაწარმოებსუნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემდეგი გრაფიკით:

3.2.1. **ავანსი გადარგვის :** გადარგვის დაწყებამდე და წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, გადარგვის მომსახურების 50%, რაც შეადგენს **2 250,00** (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2.2. **გადარგვის საბოლოო ანგარიშწორება:** მომსახურების (გადარგვის) დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადა გადარგვის მომსახურების დარჩენილი 50%, რაც შეადგენს **2 250,00** (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2.3. **მოვლითი მომსახურება გადახდა განხორციელდება გადარგვის მომსახურების დასრულებიდან 36 თვის ვადით, მომსახურების ღირებულება შეადგენს თვეში 300,00 (სამასი) ლარს, რომელსაც დამკვეთი შემსრულებელს უხდის ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე.**

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულიაა:

4.1.1 შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, სრული მოცულობით ამ ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე და ვადაში.

4.1.2 დამკვეთის მოთხოვნით უსასყიდლოდსაამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ მომსახურების გაწევის პროცესში შემსრულებელმა დაუშვა ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება.

4.1.3 დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო სგანხორციელებას.

4.1.4 გაწიოს მომსახურება მაღალი ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

4.1.5 გაწიოს მომსახურება მის მფლობელობაში არსებული ინვენტარით და კვალიფიციური პერსონალის გამოყენებით.

4.2 დამკვეთი ვალდებულია:

4.2.1 არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

4.2.2 გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

დამკვეთი შემსრულებელი

4.2.3 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ინფორმაცია, მასალა, ნივთები, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარისხით შესრულებისათვის.

4.3 **დამკვეთი უფლებამოსილია:**

4.3.1 ნებისმიერდროსშეამოწმოს„შემსრულებლის“მიერშესასრულებელისამუშაოსმსვლელობადახარისხი, „შემსრულებლის“საქმიანობაში ჩარევის გარეშე.

4.3.2 მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების გაწევისას აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.

5. მხარეთაპასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი შემსრულებელს დროულად არ გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურს, დამკვეთს დაეკისრება გადახდის დაგვიანებისათვის პირგასამტეხლო, ვადამოსული გადასახდელი თანხის **0.1%-ის**ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არ განახორციელა მომსახურება ხელშეკრულებით ან დანართით გათვალისწინებულ ვადებში, შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხელო შესაბამისი სამუშაოს ღირებულების **0.1%-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ფორს–მაჟორი

6.1 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორულიგითარების გამო, რომლის წინასწარ განზრახვა, აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის ან მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. დავა

7.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სხვა დებულებებები

8.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი სახით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.2 მხარეები ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება მხარეთა რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში , თუ რომელიმემ მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი)თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

დამკვეთი

შემსრულებელი

8.4 მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ, დამკვეთისთვის (სს ბამბის ნართისთვის) III კლასის ქარხნის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენისთვის დადებითი დასკვნის გაცემის დღეს და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

9.2 მხარეთა ხელმოწერისთანავე, ხოლო მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვალდებულებება მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ბოლომდე შესრულებამდე.

9.3 ხელმოწერის დღედ ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე, მარჯვენა ზედა კუთხეში აღნიშნული თარიღი.

9.4 ხელშერკულების შეწყვეტა დაუყოვნებლივ შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით თუ:

9.4.1 მეორე მხარე უხეშად ან არაერთგზის არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

9.4.2 შეიცვალა გარემოებები რომლებიც ამ ხელშეკრულების დადებისას იყო და მხარეები შეცვლილ ვითარებაში დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა პირობებით ან არ დადებდნენ მას;

9.5 ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე შესაძლებელია მხარეთა შორის ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „მწვანე არქიტექტურა“ 402101444	სს „ბამბის ნართი"' (ს.კ. 200003085)
თბილისი, ი. მიჩურინის ჩიხი #3	მის: თბილისი ვ. ნინუას N 3
სს „თიბისი ბანკი“	ს.ს. ,,საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22	ა/აGE82BG0000000482087200GEL
ა/ა GE09TB7173136080100007	ელ,ფოსტა: s.s.bamnisnarti@mail.ru
ელ. ფოსტა: green.ar2018@gmail.com	
დირექტორი:	დირექტორი:
გიორგი გუგუნაშვილი	თეონა ლებანიძე

დამკვეთი

შემსრულებელი

მომსახურების ხელშეკრულების
დანართი #1

ქალაქი თბილისი 14 მარტი 2019 წელი

- **დამკვეთი: სს „ბამბის ნართი“** (ს/კ200003085), წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი **თეონა ლებანიძე**
- **შემსრულებელი: შპს „მწვანე არქიტექტურა“** (402101444)წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი **გიორგი გუგუნაშვილი**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:
- 1 ერთეული ხე-მცენარის #5 კელრეუტერია - 27,7 სმ გადარგვას მძიმე ტექნიკით მისამართზე: ქალაქი თბილისი, ტრიკოტაჟის ქ. #3 / ვ. ნინუას ქ. #3, საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.196

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა:
- მომსახურების დაწყება: გადარგვისმომსახურების დაიწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემთხვევაში დადამკვეთის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
- გადარგვის მომსახურების ვადა: მომსახურების დაწყებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე, რაც უნდა დადასტურდეს, მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
- მოვლითი მომსახურება განხორციელდება 36 თვის ვადაში, ყოველკვირეულად და საჭიროების შესაბამისად.
- დაზიანების შემთხვევაში მცენარე ჩანაცვლდება არანაკლებ 3 (სამი) მეტრი 20-სმ დიამეტრის მქონე ერთი მცენარით რომელიც ჩამოთვლილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დადგენილება N 05.14.147-ის მიხედვით.

3. წინამდებარე დანართი თან ერთვის მხარეებს შორის 2019 წლის 14 მარტს დადებულ მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსრულებელი“	**„დამკვეთი“**
შპს „მწვანე არქიტექტურა“ 402101444 თბილისი, ი. მიჩურინის ჩიხი #3 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE09TB7173136080100007 ელ. ფოსტა: green.ar2018@gmail.com დირექტორი: გიორგი გუგუნაშვილი	სს „ბამბის ნართი"' (ს.კ. 200003085) მის: თბილისი ვ. ნინუას N 3 ს.ს. ,,საქართველოს ბანკი” ა/აGE82BG0000000482087200GEL ელ,ფოსტა: s.s.bamnisnarti@mail.ru დირექტორი: თეონა ლებანიძე

დამკვეთი შემსრულებელი

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი 13 თებერვალი **2019წ.**

ჩვენ, ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „მწვანე არქიტექტურა“ (402101444), მისი დირექტორის გიორგი გუგუნაშვილის სახით შემდგომში **„შემსრულებელი“** და მეორეს მხრივ **ს.ს“ ბამბის ნართი“ და მისი დირექტორი თეონა ლებანიძე** ს/ნ 200003085 შემდგომში **„დამკვეთი“** ვადასტურებთ, რომ ***„შემსრულებელმა“*** შეასრულა ჩვენს შორის ხელშეკრულებით 13 თებერვალი **2019წ.** ღირებულებით 200 (ორასი და 00 თეთრი) აღებული ვალდებულებები **„დამკვეთმა“**ჩაიბარა საექსპერტო დასკვნა და მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გააჩნიათ.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „მწვანე არქიტექტურა“ 402101444 თბილისი, ი. მიჩურინის ჩიხი #3 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE09TB7173136080100007 ელ. ფოსტა: green.ar2018@gmail.com დირექტორი: გიორგი გუგუნაშვილი	**ს.ს „ბამბის ნართი“** ს/კ 01.12.12.001.196 **მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟის ქუჩა #3, ვ.ნინუას ქუჩა #3** **დირექტორი:** თეონა ლებანიძე

ხელშეკრულება

მწვანე ნარგავების გადარგვის რეკომენდაციის მომზადების მომსახურებაზე

ქ. თბილისი 13.03. 2019

ჩვენ, ხელშკრულების მხარეები, ერთის მხრივ შპს „მწვანე არქიტექტურა“ (402101444), მისი დირექტორის გიორგი გუგუნაშვილის სახით, შემდგომში „შემსრულებელი“ და მეორეს მხრივ **ს.ს „ბამბის ნართი“ და მისი დირექტორი თეონა ლებანიძე** ს/ნ 200003085 , შემდგომში „დამკვეთი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს „დამკვეთის“ მიერ მითითებულს მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.12.12.001.196) არსებული მწვანე ნარგავების ექსპერტიზა საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილების „ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების დაცვით.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს დანართი #1-ით დაანგარიშებულ ღირებულებას.

2.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3. ანგარიშსწორება სრულად უნდა განხორციელდეს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3.2. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

4.1. “შემსრულებელი“ ვალდებულია:

1. შეასრულოს წინამდებარე ხეშეკრულების 1.1 პუნქტით გათალისწინებული ვალდებულებები თანხის ჩარიცხვიდან დანართი #1 -ით გათვალისწინებულ ვადებში.
2. დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებას

3. უფლება აქვს მისთვის სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, დამკვეთს განუსაზღვროსგონივრული ვადა. ეს უკანასკნელი გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხელშეკრულების საგნის ხარისხობრივი შეფასების სამუშაოების ჩატარების პროცესის უზრუნველყოფას და დამკვეთისთვის ხელშეკრულების საგნის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის გაცნობას.
4. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5. გადასცეს დამკვეთს საექსპერტო დასკვნა შესრულებულ სამოშაოზე და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

4.2. „დამკვეთი“ ვალდებულია:

1. არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.
2. გადაიხადოს მოსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.
3. დროეულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ინფორმაცია, მასალა, ნივთები, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარიხიანად შესასრულებლად.
4. უფლება აქვს მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.
5. ნებისმიერ დროს შეამოწმოს „შემესრულებლის“ მიერ ხელშეკრულების საგნის აღწერა-შეფასების სამუშაოების მიმდინარეობა, სამუშაო პროცესისთვის ხელის შეშლის გარეშე.

5 ფორს-მაჟორი

5.1 ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგენისას მხარეთა ვალდებულებები და შესრულების ვადები გადაიწევა იმ ვადით რამდენ ხანსაც იარსებებს ეს ხელისშემშლელი პირობები.

6 მხარეთა პასუხისმგებლობები

6.1 „დამკვეთს“ უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე და შემსრულებელს მოსთხოვოს მის მიერ გადახდილი ხელშეკრულების საფასურის უკან დაბრუნება, თუ შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების და პირობების შესაბამისად არ შესრულდება.

7 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება:

1. 3.2. მუხლის პირობების შესაბამისად;

2. წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8 სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1 მხარეთ შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.2 მხარეთ მიერ ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისი საქალაქო სასამართლო.

9 დამატებითი პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება შეძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და წარმოედგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.2. სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად.

9.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალიას მქონე ორ ეგზემპლარად.

9.4. მხარეები აცხადებენ, რომ სრულად წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი, სრულად გაიგეს მისი შინაარსი და ეთანხმებიან მას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

10 ხელშეკრულების დანართი

სამუშაოს შესრულების შემდგომ ივსება დანართი 1 და დგება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „მწვანე არქიტექტურა“ 402101444 თბილისი, ი. მიჩურინის ჩიხი #3 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE09TB7173136080100007 ელ. ფოსტა: green.ar2018@gmail.com დირექტორი: გიორგი გუგუნაშვილი	სს „ბამბის ნართი“ ს/კ 01.12.12.001.196 **მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟის ქუჩა #3, ვ.ნინუას ქუჩა #3** **დირექტორი:** თეონა ლებანიძე

დანართი 1 13.03.2019

მწვანე ნარგავების გადარგვის რეკომენდაციის მომზადების მოსახურება

№	მომსახურების დასახელება	ერთეულის ფასი (ლარებში)	მოთხოვნილი რაოდენობა	ღირებულება (ერთ. ფასი x მოთხ რამოდენობა)
1	ერთი ძირი ხე–მცენარის გადარგვის რეკომენდაციის მომზადება	170	1	170.00

ჯამი	170.00
დღგ	30.60
-	
სულ ჯამი (გადასახდელი თანხა):	200.60

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „მწვანე არქიტექტურა“ 402101444 თბილისი, ი. მიჩურინის ჩიხი #3 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE09TB7173136080100007 ელ. ფოსტა: green.ar2018@gmail.com დირექტორი: გიორგი გუგუნაშვილი	სს „ბამბის ნართი“ ს/კ 01.12.12.001.196 **მისამართი:** ქ. თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟის ქუჩა #3, ვ.ნინუას ქუჩა #3 **დირექტორი:** თეონა ლებანიძე

თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

ნომერი: 0831/651/18
თარიღი: 31/08/2018

სს "ზამბის ნართის" დირექტორს თეონა ლებანიძეს

ქალბატონო თეონა,

თქვენი მიმდინარე წლის 22 აგვისტოს #0822/215/18 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ვ.ნინუას ქუჩა #3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.12.001.196) არსებული ელ.სადენი #01.00705 სს "თელასი" ბალანსზე არ ირიცხება.

დამატებითი ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ვ.ნინუას ქუჩის მხარეს, ნაკვეთის წითელ ხაზებთან ახლოს დაახლოებით 15-50სმ-ის დაშორებით გადის სს "თელასის" კუთვნილი 1014-1030 მიმართულების კაბელი. გიგზავნით ამ კაბელის მდებარეობის განმსაზღვრელ PDF და SHP ფაილებს CD დისკზე ჩაწერილს.

დანართი: სქემატური ნახაზი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე ჩაწერილი.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მოადგილე ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

მ. პაპიძე

ტელ:2779999-1-7643


482200
482250
482300
482350
4621450
4621400
6-10კვ კაბელი
N
1014
011212001067
011212001160
011212001197
011212001048
011212001196
011212001069
011212006004
011212006007
011212001141
011212001142
011212001158
011212001084
011212001114
011212001161
011212001181
011212001201
011212001198
011212001186
011212001168
011212001182
011212001149
011212001149
011212001194
011212001097
011212006005
NN 4TERNN8941 - 575m

გზის სერვიტუტის ხელშეკრულება

გზის სერვიტუტის ეს ხელშეკრულება (შემდგომში – „ხელშეკრულება") დადებულია 2014 წლის 26 სექტემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

ს/ს „ბამბის ნართი" (რეგ. მისამართზე: თბილისი, ვახტანგ ნინუას ქ. №3; ს/კ 200003085) წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი ქართველიშვილის (დაბ. 22.12.1974წ. საცხოვრებელი ადგილი: თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 29 ბ. 57; პირადი №01025002300), სახით, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მომზადების თარიღი – 02.09.2014წ. შემდგომში – "მესაკუთრე"

და

შპს„ჰაიდელბერგ ჯორჯია" (ს/კ №204565274), წარმომადგენელი დირექტორი გოდერძი გრდერძიშვილი, პირადი №01012013612,

პრეამბულა

რადგანაც, მესაკუთრე ფლობს საკუთრების უფლებით ქ. თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთს, რომლის საკადასტრო კოდია № 01.12.12.001.144 – 1973 კვ.მ. (შემდგომში – "დატვირთული მიწის ნაკვეთი").

რადგანაც, უფლებამოსილი პირი იძენს საკუთრების უფლებით ქ. თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთებს, რომლთა საკადასტრო კოდია № 01.12.12.001.148 (შემდგომში – "უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთი"),

რადგანაც, დატვირთული მიწის ნაკვეთი და უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთი მდებარებს ერთმანეთის მეზობლად;

რადგანაც, უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთზე შესვლა შესაძლებელია მხოლოდ დატვირთული მიწის ნაკვეთიდან (ან სხვა მეზობელი მიწის ნაკვეთიდან, რომელსაც ფლობს მესაკუთრე);

რადგანაც, მესაკუთრე აპირებს განავითაროს და გააუმჯობესოს მიწის ნაკვეთი გარკვეული ნაგებობებით და სხვა გაუმჯობესებით;

რადგანაც, მესაკუთრეს სურს მიანიჭოს უფლებამოსილ პირს, ხოლო უფლებამოსილ პირს სურს მიიღოს მესაკუთრისგან სერვიტუტის უფლება გზაზე (შემდგომში – "გზა") (როგორც ეს აღნიშნულია ნახაზში), რომელიც მდებარეობს დატვირთულ მიწის ნაკვეთზე, უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ;

ამდენად, ორმხრივი შეთანხმებებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მესაკუთრე ანიჭებს უფლებამოსილ პირს უსასყიდლოდ, მუდმივ უფლებას ისარგებლოს სერვიტუტით დატვირთულ გზაზე, რათა მოხდეს ამ გზაზე ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების (უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების მექანიზაციის საშუალებების) შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მათ შორის უფლებამოსილი პირის, მისი თანამშრომლების და სტუმრების (შემდგომში ერთობლივად – "უფლებამოსილი პირის მხარეები") შესვლა და გასვლა. სერვიტუტი და ეს ხელშეკრულება იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში უფლებამოსილი პირის მიერ.

იმ პირობით, რომ მესაკუთრესაც შეეძლება სარგებლობა, მესაკუთრე დაუშვებს უფლებამოსილ პირს ელექტროენერგიის, ინტერნეტის, ბუნებრივი გაზის, წყლის და სხვა ქსელებთან, როგორც აღნიშნული ქსელები არსებობს უფლებამოსილი პირის ნაკვეთზე და როგორც ამას ითხოვს კანონმდებლობა.

1.3. გზის ზუსტი მდებარეობა მითითებულია რუკაზე (შემდგომში – "რუკა"), რომელიც თან ერთვის ამ ხელშეკრულებას. რუკის ელექტრონული ვერსია აგრეთვე თან ერთვის ხელშეკრულებას და იგი იქნება წარდგენილი საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად, როგორც ამ ხელშეკრულების ნაწილი.

1.4. უფლებამოსილი პირის და/ან უფლებამოსილი პირის მხარეთა მიერ გზის გამოყენებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მესაკუთრის მიწის ნაკვეთის ფუნქციონირებას და არ უნდა შეამციროს მესაკუთრის მიწის ნაკვეთის ღირებულება.

1.5. სერვიტუტი არ ანიჭებს უფლებამოსილ პირს ან უფლებამოსილი პირის მხარეებს რაიმე ისეთ უფლებას, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.

2. გზის მდებარეობის შეცვლა

2.1. მესაკუთრე იტოვებს ერთპიროვნულ უფლებას ნებისმიერ დროს გადაიტანოს გზა ნებისმიერ სხვა ადგილას, მათ შორის სხვა მიწის ნაკვეთზე, რომელიც (ა) მდებარეობს უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთის მეზობლად; და (ბ) მას ფლობს მესაკუთრე, იმ პირობით, რომ ახალმა გზამ უნდა უზრუნველყოს უფლებამისილი პირის მიწის ნაკვეთზე ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების შეუფერხებელი შესვლა და გზა არ იქნება არსებულ გზაზე უარეს მდგომარეობაში. არსებული გზის მდგომარეობა ასახულია ფოტოსურათებზე, რომლებიც თან ერთვის ხელშეკრულების დანართ ნახაზში. უფლებამოსილი პირი ითანამშრომლებს მესაკუთრესთან გზის გადატანისას, ამასთან გზის გადატანის ყველა ხარჯი, მათ შორის ახალი მდებარეობის რეგისტრაციის ხარჯი, გაღებულ იქნება მესაკუთრის მიერ. არსებული გზა არ იქნება გაუქმებული ან დახურული, სანამ არ მოხდება გზის ახალი მდებარეობის რეგისტრაცია. გზის ახალი მდებარეობა უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში შეფერხების გარეშე.

2.2. ამ ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება გავრცელდება ახალ გზაზეც, იმ პირობით, რომ ხელშეკრულების ეს დებულებები ძალაში იქნება გზის გადატანის მომენტისთვის.

2.3. მესაკუთრე იტოვებს ერთპიროვნულ უფლებას ნებისმიერ დროს თავისი ხარჯით გადაიტანოს ნებისმიერ ახალ ადგილას ელექტროენერგიის, ინტერნეტის, ბუნებრივი გაზის, წყლის და სხვა ქსელები, იმ პირობით, რომ უფლებამოსილი პირი იქნება მიერთებული ამ ქსელებზე და მას ექნება შესაძლებლობა მიიღოს იმავე ხარისხის მომსახურება. გარდა ამისა, ძველი ქსელები იქნება საბოლოოდ ჩაჭრილი მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფლებამოსილი პირი იქნება მიერთებული ახალ ქსელებთან. დაშვებულია გამართლებული და დროებითი გათიშვა, რომელიც დაკავშირებული იქნება ახალი ქსელების მშენებლობასთან. ამასთან, ასეთი გათიშვის თაობაზე წინასწარ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ პირს.

3. თანხა

3.1. მხარეთა შეთანხმებით გზის სერვიტუტით სარგებლობისათვის საზღაური გათვალიწინებული არ არის.

4. საკუთრების უფლება და გამოყენება

4.1. როგორც გათვალისწინებულია კანონით, მესაკუთრეს აქვს სრული უფლება გამოიყენოს დატვირთული მიწის ნაკვეთი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი მიზნით, მათ შორის (მაგრამ, არა მხოლოდ) მშენებლობისთვის, განვითარებისთვის, მოახდინოს შერწყმა, დაყოფა, გაასხვისოს და გასცეს იჯარით. აქედან გამომდინარე, უფლებამოსილი პირი ვალდებულია არ ჩაერიოს მესაკუთრის უფლებების განხორციელებაში, და არანაირი ფორმით არ ჩაერიოს მესაკუთრის გეგმებში განავითაროს დატვირთული მიწის ნაკვეთი ან რომელიმე მიმდებარე ნაკვეთი.

4.2. სერვიტუტის მინიჭებით, მესაკუთრე არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას შეინახოს ან გააუმჯობესოს გზა. იმავდროულად, მესაკუთრე ვალდებულია არ დააზიანოს გზა. ამასთან, უფლებამოსილ პირს აქვს უფლება გააუმჯობესოს გზა, მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

5. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

5.1. უფლებამოსილი პირი გაანთავისუფლებს, დაიცავს და თავიდან აიცილებს მესაკუთრეს, მის წარმომადგენლებს, თანამშრომლებს, უფლებამონაცვლეებს და ყველა სხვა დაკავშირებულ მხარეს, ყოველგვარ და ნებისმიერ ხარჯებს, პასუხისმგებლობას, ზიანს, მოთხოვნას, ან ნებისმიერი ხარალს, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, იმ პირებისათვის მიყენებული ზიანისთვის (გარდაცვალების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს რაიმე ზიანის, დაზიანების ან ნებისმიერი მსგავსი შემთხვევით, რომელიც მოხდა გზაზე, უფლებამოსილი პირის ან უფლებამოსილი პირის მხარის გაუფრთხილებლობის ან არასწორი ქმედების გამო.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის და საჯარო რეესტრში დარეგისტირების დღიდან.

6.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი ერთობლივად გადახედავენ ხელშეკრულების არსებითი პირობებს.

7. შეწყვეტა

7.1. სერვიტური შეწყდება, თუ მოხდება დატვირთული მიწის ნაკვეთის და უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთების შერწყმა.

7.2. სერვიტუტი შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. სამართლის არჩევა

8.1. ეს ხელშეკრულება და მისი განხორციელება და შესრულება წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. დამატებითი დებულებები

9.1. ეს ხელშეკრულება გაფორმებულია ოთხ ორიგინალად, თითოეული მხარე მიიღებს ერთ ორიგინალს, ერთი ორიგინალი დარჩება ნოტარიუსთან და ერთი ორიგინალი იქნება წარდგენილი უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო რეესტრში დასარეგისტრებლად. უფლებამოსილი პირი თავად დაფარავს ხელშეკრულების გაფორმების და რეგისტრაციის საფასურს.

9.2. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება არის ან გახდება ბათილი, სამართლის საწინააღმდეგო ან განუხორციელებელი ნებისმიერი მიზეზის გამო, ეს არ მოახდენს გავლენას ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის ნამდვილობაზე, სამართლებრივ ძალაზე ან განხორციელებადობაზე. თუ ასეთი დებულება არის არსებითი, მხარეები კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ მის შემცვლელ დებულებაზე, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება იმავე კომერციული შედეგის მიღწევა.

9.3. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა სრულ შეთანხმებას და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ყველა წინა განხილვის და მოლაპარაკებების შედეგი გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში.

9.4. ხელშეკრულების შეცვლა, მოდიფიცირება ან შეწყვეტა არ შეიძლება განხორციელდეს ზეპირად, არამედ მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე.

ხელშეკრულების წაკითხვის და მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეები ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც სრულად შეესაბამება მათ სახელშეკრულებო ნებას:

ს/ს „ბამბის ნართი"

დირექტორი გიორგი ქართველიშვილი ---------

შპს„ჰაიდელბერგ ჯორჯია"ს

დირექტორი გოდერძი გოდერძიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N141056223
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.09.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლია ირემაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N58
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599167349
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31307431192314

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაექვს სექტემბერს მე, ნოტარიუს ლია ირემაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №58, მომმართეს სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა ბატონმა გიორგი ქართველიშვილმა (დაბ. 22.12.1974წელს თბილისში, პირადი №01025002300, მცხ. ქ. თბილისი, დიდი დიღომი 3 მ/რ, კორპ. 29, ბ. 57) და ბატონმა გოდერძი გოდერძიშვილმა (დაბ. 03.11.1971წელს გარდაბანში, პირადი №01012013612, მცხ. ქ. თბილისი, ვაზისუბანი 2ა მ/რ, კორპ. 27, ბ. 90). მათ წარმოადგინეს გზის სერვიტუტის ხელშეკრულება და განაცხადეს, რომ სურთ მასზე თავისი ხელისმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მათ განვუმარტე, რომ ნოტარიუსი ამოწმებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნამდვილობას და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე და მასში მოყვანილ ფაქტებზე. ასევე განვუმარტე სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლითაც ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების კანონმდებლობასთან შეუსაბამისობის ან ხელმომწერების ნების არაადეკვატურად ასახვის გამო. რის შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, რასაც ვამოწმებ.

ეგზემპლიარების რაოდენობა: 4 (ოთხი)

გადახდილია 20,88 (ოცი ლარი და 88 თეთრი) ლარი – აქედან: სანოტარო საზღაური 16,00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, დღგ 2,88 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი /ლია ირემაძე/



გზის სერვიტუტის ხელშეკრულება

გზის სერვიტუტის ეს ხელშეკრულება (შემდგომში – „ხელშეკრულება") დადებულია 2015 წლის 20 ნოემბერი შემდეგ მხარეებს შორის:

ს/ს „ბამბის ნართი" (რეგ. მისამართზე: თბილისი, ვახტანგ ნინუას ქ. №3; ს/კ 200003085) **წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი ქართველიშვილის** (დაბ. 22.12.1974წ. საცხოვრებელი ადგილი: **თბილისი ო. ონიაშვილის ქ. N 34 ბ. 8;** პირადი №01025002300), სახით, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შემდგომში – "მესაკუთრე"

და

დავით გოლეთიანი (დაბ. 12.04.1971წ. რეგ. მისამართზე: **თბილისი ტყვიავის ქ.** N9; პირადი №01015015609) და **თეიმურაზ მერკვილიშვილი** (დაბ. 13.08.1971წ. რეგ. მისამართზე: **თბილისი ბახტრიონის ქ. N 10 ბ. 40;** პირადი №17001000105), შემდგომში – **"უფლებამოსილი პირები"**,

პრეამბულა

რადგანაც, მესაკუთრე ფლობს საკუთრების უფლებით ქ. თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთს, რომლის საკადასტრო კოდია № 01.12.12.001.165 (შემდგომში – "დატვირთული მიწის ნაკვეთი");

რადგანაც, უფლებამოსილმა პირებმა შეიძინეს საკუთრების უფლებით ქ. თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელის საკადასტრო კოდიცაა № 01.12.12.001.167; (შემდგომში – "უფლებამოსილი პირების მიწის ნაკვეთი"),

რადგანაც, დატვირთული მიწის ნაკვეთი და უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთი მდებარებს ერთმანეთის მეზობლად;

რადგანაც, უფლებამოსილი პირების მიწის ნაკვეთზე შესვლა შესაძლებელია მხოლოდ დატვირთული მიწის ნაკვეთიდან (ან სხვა მეზობელი მიწის ნაკვეთიდან, რომელსაც ფლობს მესაკუთრე);

რადგანაც, მესაკუთრე აპირებს განავითაროს და გააუმჯობესოს მიწის ნაკვეთი გარკვეული ნაგებობებით და სხვა გაუმჯობესებით;

რადგანაც, მესაკუთრეს სურს მიანიჭოს უფლებამოსილ პირებს, ხოლო უფლებამოსილ პირებს სურთ მიიღონ მესაკუთრისგან სერვიტუტის უფლება გზაზე (შემდგომში – "გზა") რომელიც მდებარეობს დატვირთულ მიწის ნაკვეთზე, უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ;

ამდენად, ორმხრივი შეთანხმებებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მესაკუთრე ანიჭებს უფლებამოსილ პირებს სერვიტუტს 53998.00კვ.მ.-დან 1973კვ.მ-სა და 283კვ.მ.-ზე (შემდგომში – "სერვიტუტი") უფლებამოსილი პირების მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ, კერძოდ, არაექსკლუზიურ მუდმივ უფლებას ისარგებლოს სერვიტუტით გზაზე, რათა მოხდეს გზაზე ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მათ შორის უფლებამოსილი პირის, მისი თანამშრომლების და სტუმრების (შემდგომში ერთობლივად – "უფლებამოსილი პირების მხარეები") შესვლა და გასვლა. სერვიტუტი და ეს ხელშეკრულება იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში უფლებამოსილი პირის მიერ.

1.2. იმ პირობით, რომ მესაკუთრესაც შეეძლება სარგებლობა, მესაკუთრე დაუშვებს უფლებამოსილ პირს ელექტროენერგიის, ინტერნეტის, ბუნებრივი გაზის, წყლის და სხვა ქსელებთან, როგორც აღნიშნული ქსელები არსებობს უფლებამოსილი პირის ნაკვეთზე და როგორც ამას ითხოვს კანონმდებლობა.

1.3. უფლებამოსილი პირის და/ან უფლებამოსილი პირის მხარეთა მიერ გზის გამოყენებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მესაკუთრის მიწის ნაკვეთის ფუნქციონირებას და არ უნდა შეამციროს მესაკუთრის მიწის ნაკვეთის ღირებულება.

1.4. სერვიტუტი არ ანიჭებს უფლებამოსილ პირს ან უფლებამოსილი პირის მხარეებს რაიმე ისეთ უფლებას, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.

2. გზის მდებარეობის შეცვლა

2.1. მესაკუთრე იტოვებს ერთპიროვნულ უფლებას ნებისმიერ დროს გადაიტანოს გზა ნებისმიერ სხვა ადგილას, მათ შორის სხვა მიწის ნაკვეთზე, რომელიც (ა) მდებარეობს უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთის მეზობლად; და (ბ) მას ფლობს მესაკუთრე, იმ პირობით, რომ ახალმა გზამ უნდა უზრუნველყოს უფლებამისილი პირის მიწის ნაკვეთზე ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების შეუფერხებელი შესვლა და გზა არ იქნება არსებულ გზაზე უარეს მდგომარეობაში. არსებული გზის მდგომარეობა ასახულია საკადასტრო რუკაზე. უფლებამოსილი პირები ითანამშრომლებენ მესაკუთრესთან გზის გადატანისას, ამასთან გზის გადატანის ყველა ხარჯი, მათ შორის ახალი მდებარეობის რეგისტრაციის ხარჯი, გაღებულ იქნება მესაკუთრის მიერ. არსებული გზა არ იქნება გაუქმებული ან დახურული, სანამ არ მოხდება გზის ახალი მდებარეობის რეგისტრაცია. გზის ახალი მდებარეობა უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში შეფერხების გარეშე.

2.2. ამ ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება გავრცელდება ახალ გზაზეც, იმ პირობით, რომ ხელშეკრულების ეს დებულებები ძალაში იქნება გზის გადატანის მომენტისთვის.

2.3. მესაკუთრე იტოვეს ერთპიროვნულ უფლებას ნებისმიერ დროს თავისი ხარჯით გადაიტანოს ნებისმიერ ახალ ადგილას ელექტროენერგიის, ინტერნეტის, ბუნებრივი გაზის, წყლის და სხვა ქსელები, იმ პირობით, რომ უფლებამოსილი პირი იქნება მიერთებული ამ ქსელებზე და მას ექნება შესაძლებლობა მიიღოს იმავე ხარისხის მომსახურება. გარდა ამისა, ძველი ქსელები იქნება საბოლოოდ ჩაჭრილი მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფლებამოსილი პირი იქნება მიერთებული ახალ ქსელებთან. დაშვებულია გამართლებული და დროებითი გათიშვა, რომელიც დაკავშირებული იქნება ახალი ქსელების მშენებლობასთან. ამასთან, ასეთი გათიშვის თაობაზე წინასწარ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ პირს.

3. თანხა

3.1. მხარეთა შეთანხმებით გზის სერვიტუტით სარგებლობისათვის საზღაური გათვალიწინებული არ არის.

4. საკუთრების უფლება და გამოყენება

4.1. როგორც გათვალისწინებულია კანონით, მესაკუთრეს აქვს სრული უფლება გამოიყენოს დატვირთული მიწის ნაკვეთი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი მიზნით, მათ შორის (მაგრამ, არა მხოლოდ) მშენებლობისთვის, განვითარებისთვის, მოახდინოს შერწყმა, დაყოფა, გაასხვისოს და გასცეს იჯარით. აქედან გამომდინარე, უფლებამოსილი პირი ვალდებულია არ ჩაერიოს მესაკუთრის უფლებების განხორციელებაში, და არანაირი ფორმით არ ჩაერიოს მესაკუთრის გეგმებში განავითაროს დატვირთული მიწის ნაკვეთი ან რომელიმე მიმდებარე ნაკვეთი.

4.2. სერვიტუტის მინიჭებით, მესაკუთრე არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას შეინახოს ან გააუმჯობესოს გზა. იმავდროულად, მესაკუთრე ვალდებულია არ დააზიანოა გზა. გარდა ამისა, არაფერი ამ ხელშეკრულებაში ანიჭებს უფლებამოსილ პირს უფლებას მოითხოვოს მესაკუთრისგან გზის გაუმჯობესება. ამასთან, უფლებამოსილ პირს აქვს უფლება გააუმჯობესოს გზა, მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

5. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

5.1. უფლებამოსილი პირები გაანთავისუფლებენ, დაიცავენ და თავიდან აიცილებენ მესაკუთრეს, მის წარმომადგენლებს, თანამშრომლებს, უფლებამონაცვლეებს და ყველა სხვა დაკავშირებულ მხარეს, ყოველგვარ და ნებისმიერ ხარჯებს, პასუხისმგებლობას, ზიანს, მოთხოვნას, ან ნებისმიერი ზარალს, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, იმ პირებისათვის მიყენებული ზიანისთვის (გარდაცვალების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს რაიმე ზიანის, დაზიანების ან ნებისმიერი მსგავსი შემთხვევით, რომელიც მოხდა გზაზე, უფლებამოსილი პირის ან უფლებამოსილი პირის მხარის გაუფრთხილებლობის ან არასწორი ქმედების გამო.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის და საჯარო რეესტრში დარეგისტირების დღიდან.

7. შეწყვეტა

7.1. სერვიტური შეწყდება, თუ მოხდება დატვირთული მიწის ნაკვეთის და უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთების შერწყმა.

7.3. სერვიტუტი შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. სამართლის არჩევა

8.1. ეს ხელშეკრულება და მისი განხორციელება და შესრულება იმართება საქართველოს კანონმდებლობით.

9. დამატებითი დებულებები

9.1. ეს ხელშეკრულება გაფორმებულია ოთხ ორიგინალად, თითოეული მხარე მიიღებს ერთ ორიგინალს, ერთი ორიგინალი დარჩება ნოტარიუსთან და ერთი ორიგინალი იქნება წარდგენილი უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად. უფლებამოსილი პირი თავად დაფარავს ხელშეკრულების გაფორმების და რეგისტრაციის საფასურს.

9.2. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება არის ან გახდება ბათილი, სამართლის საწინააღმდეგო ან განუხორციელებელი ნებისმიერი მიზეზის გამო, ეს არ მოახდენს გავლენეს ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის ნამდვილობაზე, სამართლებრივ ძალაზე ან განხორციელებადობაზე. თუ ასეთი დებულება არის არსებითი, მხარეები კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ მის შემცვლელ დებულებაზე, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება იმავე კომერციული შედეგის მიღწევა.

9.3. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა სრულ შეთანხმებას და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ყველა წინა განხილვის და მოლაპარაკებების შედეგი შესულია ხელშეკრულებაში.

9.4. ხელშეკრულება არის ხელმოწერილი ქართულ ენაზე.

9.5. ხელშეკრულების შეცვლა, მოდიფიცირება ან შეწყვეტა არ შეიძლება განხორციელდეს ზეპირად, არამედ მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე.

9.6. რომელიმე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებაში მითითებული პირობაზე უარის თქმა ან შეთანხმებაზე, ნორმის დარღვევაზე უარის თქმა ერთჯერადად ან მრავალჯერადად არ წარმოადგენს და არ იქნება განხილული (i) როგორც ამ მხარის მიერ ნებისმიერი სხვა პირობაზე, ან ნორმის, შეთანხმების, დარღვევაზე უარის თქმა, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულებაში (ii) ან ამ მხარის მიერ ამდაგვარ პირობაზე ან დარღვევაზე განგრძობადი უარის თქმა.

ხელშეკრულების წაკითხვის და მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეები ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც სრულად შეესაბამება მათ სახელშეკრულებო ნებას:

ს/ს „ბამბის ნართი" დირექტორი

გიორგი ქართველიშვილი ----------

დავით გოლეთიანი ----------

თეიმურაზ მერკვილიშვილი ----------

ნოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N151273023 *N151273023*
ნოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.11.2015 წ
ნოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	12532171582515 *12532171582515*

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის **ოც ნოემბერს** მე, **მარიამ გოგვაძე,** ნოტარიუს ნინო ხოფერიას შემცვლელი პირი, სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2, ვამოწმებ **გიორგი ქართველიშვილის** (დაბ. 22.12.1974წ. საცხოვრებელი ადგილი: **თბილისი ო.ონიაშვილის ქ. N 34 ბ. 8** პირადი №01025002300), **დავით გოლეთიანის** (დაბ. 12.04.1971წ. რეგ. მისამართზე: **თბილისი ტყვიავის ქ.** N9; პირადი №01015015609) და **თეიმურაზ მერკვილიშვილის** (დაბ. 13.08.1971წ. რეგ. მისამართზე: **თბილისი ბახტრიონის ქ. N 10 ბ. 40;** პირადი №17001000105) **ხელმოწერათა ნამდვილობას უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა გვერდზე.** ხელმოწერა შესრულებულია მათ მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერებს განემარტათ, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მათ განაცხადეს თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერთა პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად, მასზე შესრულებულია სულ ოცდათექვსმეტი ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური – 72 (სამოცდათორმეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. №507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 86.96 (ოთხმოცდაექვსი და ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

ნოტარიუს ნინო ხოფერიას შემცვლელი პირი მარიამ გოგვაძე
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №28/2